12 აპრილი 2022 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურენობის სამინისტროს

შპს ,, რასეტი''-ს
(ს/კ 445579464)

სკრინინგის განცხადება

წარმოგიდგენთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში განთავსებული (საკადასტრო კოდი: 34.09.46.177) შპს ,,რასეტი''-ს (ს/კ445579464) ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი საწარმოს სკრინინგის ანგარიშს.

შპს ,,რასეტი''-ს საწარმო 2021 წლის 27 დეკემბერს შემოწმებული იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ და შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი 79[7] მუხლის 1 ნაწ. დარღვევით, რაც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე.

ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ შპს ,,რასეტის'' მიერ განხორციელებული საქმიანობა საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის''-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და იმავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას. გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა საწარმოს სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

შპს ,, რასეტი''-ს
(ს/კ 445579464)
დირექტორი: ტიმურ სოკალსკი

12.04.2022 წელი

№10117
21 04 2022